პოლონეთის მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის მილოცვა სსგკ-ს თავმჯდომარეს დაბადების 55 წლის იუბილესთან დაკავშირებით

ვარშავისა და სრულიად პოლონეთის უნეტარესმა მიტროპოლიტმა საბამ მისალოცი წერილი გაუგზავნა მოსკოვის საპატრიაქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარეს, ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტ ილარიონს დაბადების 55 წლისთავთან დაკავშირებით.

თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ, ძვირფასო მეუფე მიტროპოლიტო!

თქვენი დაბადების 55-ე წლის საიუბილეო დღესთან დაკავშირებით, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი გულითადი კეთილმოსურნეობა ჯანმრთელობისა და წარმატებისა თქვენს მრავალ შრომაში, რომელიც ემსახურება რუსეთის წმინდა ეკლესიისა და მთელი მართლმადიდებლობის კეთილდღეობას.

დაე, განგამტკიცოთ უფალმა მისი წმინდა ეკლესიის მსახურებაში.

ქრისტესმიერი სიყვარულით,

+ საბა,

მიტროპოლიტი ვარშავისა და სრულიად პოლონეთისა

წყარო: https://mospat.ru/ge/news/87789/